



დეკემბერი 2018

## მნიშვნელოვანი თარიღები

### 19 დეკემბერი

სკოლამდელი განათლების ცენტრის მოსწავლეების სპექტაკლი, 11:00-დან 12:00 საათამდე; 12:00-დან – 13:00 საათამდე.

### 21 დეკემბერი

I სემესტრის დასასრული;  
I-II კლასელების სპექტაკლი, 11:00-დან 12:00 საათამდე.  
III-IV კლასების საახალწლო ღონისძება, 14:30 -დან 15:00 საათამდე.

### 24 დეკემბერი - 7 იანვარი

ზამთრის არდადეგები

### 25, 26, 27 დეკემბერი

ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

შეგახსენებთ, რომ გაკვეთილებზე რეგულარული დასწრება და პუნქტუალურობა მოსწავლის აკადემიური წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. შესაბამისად, სემესტრის ბოლო კვირის განმავლობაში სკოლაში სიარული მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლე არ ჩამორჩეს აკადემიურ პროგრამას და შეძლოს კურსებით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

ძვირფასო მშობლებო, გთხოვთ დაეხსნოთ მასწავლებლებთან დაგეგმილ ინდივიდუალურ შეხვედრას, რათა მიიღოთ ინფორმაცია თქვენი ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების შესახებ.

## კომპიუტერული მეცნიერების კვირეული

„თუ შეძლებ ტექნოლოგიების შექმნას, შეგიძლია შეცვალო სამყარო“.

წინა კვირა აკადემიის სასკოლო საზოგადოება ტექნოლოგიების, კოდირებისა და რობოტიკის შთამბეჭდავი აქტივობებით იყო დაკავებული. მოსწავლეები და მათი მშობლები ჩაერთნენ ფართომასშტაბიან საერთაშორისო ღონისძიებაში „პროგრამირების ერთი საათი“, რომლის მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ კომპიუტერული მეცნიერება სახალისოა, ყველა ასაკის მოსწავლისათვის შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი და ყველას შეუძლია კოდირების მარტივი ელემენტების შესწავლა.

მონაწილეებს, მათ შორის აკადემიის სპეციალურ სტუმრებს, ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, საშუალება ჰქონდათ თავად მოესინჯათ აკადემიის სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეების მიერ დაპროგრამებული რობოტები, პრაქტიკული მაგალითების საშუალებით გაცნობოდნენ თუ რა არის პროგრამირება და როგორ შეიძლება საკუთარი ხელით შექმნილი პროგრამით აკონტროლო რობოტი. მსგავსი ტიპის აქტივობები, რომლებიც აკადემიაში საგაკვეთილო პროცესთან არის ინტეგრირებული, მოსწავლეებს ლოგიკურ და კრეატიულ აზროვნებისა და პრობლემის თანმიმდევრული გადაჭრის უნარს უვითარებს. ჩვენი მოლოდინია, რომ მოსწავლეები არამხოლოდ მომხმარებლები, არამედ ტექნოლოგიების შემქმნელებიც იქნებიან მომავალში.

აკადემიის სახელით დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ ჩვენს არაჩვეულებრივ გუნდს, რომელმაც კომპიუტერული მეცნიერების კვირეული შესანიშნავად დაგეგმა და განახორციელა და, ასევე, კვირეულით დაინტერესებულ მშობლებს.



## საინფორმაციო შეხვედრა კიბერბულინგზე

კომპიუტერული მეცნიერების კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებისა და მშობლებისათვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა კიბერბულინგის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით დამცირების, ჩაგვრის, შეურაცხყოფის პრევენციისა და მსგავს შემთხვევებთან გამკლავების გზების შესახებ.

მშობლებს გთავაზობთ რამდენიმე ზოგად რჩევას კიბერბულინგთან ბრძოლის შესახებ:

- თვალყური ადევნეთ თქვენი ბავშვის ქცევას ონლაინ სივრცეში.
- გაეცანით სხვადასხვა სოციალურ საიტს, როგორც არის facebook, twitter. სთხოვეთ თქვენს შვილს გაჩვენოთ თავისი პროფილის გვერდები ამ საიტებზე.
- რეგულარულად ესაუბრეთ თქვენს ბავშვს ონლაინ სივრცეში ქცევის უსაფრთხოების შესახებ. განუმარტეთ, რომ შეუძლია მოგმართოთ, თუ რაიმე არასასიამოვნოს, უცნაურს ან საშიშს წააწყდება.
- ურჩიეთ ბავშვს, რომ არ უპასუხოთ მექარის შემცველ კომენტარებს ან წერილებს ონლაინ სივრცეში. ასევე, არ ნაშალოს მსგავსი შეტყობინებები კიბერბულინგის შემთხვევების დადასტურების მიზნით.
- არ აღელდეთ ზედმეტად, თუ თქვენი ბავშვი კიბერბულინგის შემთხვევის შესახებ გაამბობთ. ეცადეთ გაიგოთ, რამდენი ხანია ეს შემთხვევა გრძელდება და იმოქმედეთ ბავშვთან ერთად გამოსავლის მოსაძებნად. ასევე, აგრძნობინეთ ბავშვს, რომ ეს არ არის მისი ბრალი.
- ურჩიეთ ბავშვს, რომ სოციალურ ქსელებში დაბლოკოს ისეთი ადამიანი, რომელიც შეტყობინებების ან კომენტარების საშუალებით ამცირებს ან ჩაგრავს.
- მოუწოდეთ თქვენს ბავშვს რომ არ გაუზიაროს საკუთარი სოციალური ქსელების ანგარიშების პაროლი სხვებს - ახლო მეგობრებსაც კი.

არასრულწლოვანთა მიერ ინტერნეტის გამოყენების შესახებ დამატებით რეკომენდაციებს შეგიძლიათ გაეცნოთ [აქ](#).



## შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ასამბლეა

ჩვენმა არაჩვეულებრივმა X კლასელებმა შიდსის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ასამბლეა მოაწყვეს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის ფარგლებში. მოსწავლეებმა ისაუბრეს როგორ მოქმედებს აივ ინფექცია ორგანიზმში, როგორ შეიძლება შიდსის პრევენცია და რა არის თანამედროვე მედიცინის მიღწევები შიდსთან ბრძოლის კუთხით.



## პირველადი დახმარების გაკვეთილი I-II კლასებისთვის

დანყებითი საერთაშორისო კურიკულუმის თემატური ერთეულის „როგორ ვგრძნობთ თავს?“ ფარგლებში ჩვენი პატარები მორიგ საინტერესო აქტივობაში ჩაერთნენ. ამჯერად აკადემიას საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის წარმომადგენლები ესტუმრნენ. გაკვეთილის მიზანი იყო ბავშვებს გაეაზრებინათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ექიმებისა და მეხანძრეების შრომა და როგორ უნდა მოიქცნენ საგანგებო სიტუაციების დროს.



## ინგლისური ენის კითხვის პროგრამა BOOK CLUB

II-IV კლასელები აკადემიის ინგლისური ენის კითხვის პროგრამის აქტიური წევრები არიან. პროგრამის მიზანია მოსწავლეებში წიგნიერებისა და კითხვის უნარების განვითარება და ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება. Book club-ის აქტივობის ფარგლებში მოსწავლე კვირაში ერთ წიგნს კითხულობს და წლის განმავლობაში წაკითხული და დამუშავებული წიგნების რაოდენობის მიხედვით ჯილდოვდება. წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს პატარა მკითხველებს წიგნების ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობისას.